ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4925323001**

თარიღი:**19/11/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარისათვის ვაჟა ჟორჟოლიანისათვის

სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი "-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #25 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე- 3 პუნქტის, 2025 წლის 19 ნოემბრის სამედიცინო დაწესებულების (ორთოპედ-ტრავმატოლოგის)ფორმა 100-ისა და კომისიის თავმჯდომარის ვაჟა ჟორჟოლიანის 2025 წლის 19 ნოემბრის 4949253231 განცხადების საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვაჟა ჟორჟოლიანს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, **2025 წლის 15 ნოემბრიდან შეუჩერდეს** სამსახურებრივი უფლებამოსილება დროებით შრომისუუნარობის გამო, საავადმყოფო ფურცლის მოქმედების პერიოდით.

2. არყოფნის დროს მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს - შალვა კილაძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საავადმყოფო ფურცლის მოქმედების დასრულებისა და წარმოდგენის შემდეგ თანამდებობრივი სარგოს გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი